ვაკანსიის № 86479

პოზიციის დასახელება	სტაჟიორი ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ განყოფილებაში იურიდიული მიმართულებით
კონკურსის ტიპი	სტაჟირება
ორგანიზაცია	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
კატეგორია	იურიდიული
განცხადების ბოლო ვადა	09.07.2024
თანამდებობრივი სარგო	399 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	დმანისი

ფუნქციები

- მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულებების, გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებისა და სხვა დოკუმენტების სამართლებრივი გამართულობა, მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთნ და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;
- მერიის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების, აგრეთვე საკრებულოში წარსადგენი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- ყველა ინსტაციის საქართველოს სართო სასამართლოებში წარსადგენი დოკუმენტების (სარჩელი, საჩივარი, განცხადება, შესაგებელი და ა. შ) პროექტების მომზადება;
- სტაჟიორის მენტორის მიერ დაკისრებული დავალებების შესრულება;
- მოქმედი კანონმდებლობით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა მოვალეობების შესრულება.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	სტუდენტი

საკონკურსო თემატიკა

- საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ";
- საქართველოს ორგანული კანონი " ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქ. N 41
საკონტაქტო ტელეფონები	598300619
საკონტაქტო პირი	ნონა ხორბალაძე

დამატებითი მოთხოვნები

1. სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) იცის სახელმწიფო ენა;

ბ) სწავლობს უმაღლესი განათლების სამართალმცოდნეობა ან/და იურუდიული ფაკულტეტის პირველ (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მე-2 ან მე-3 საფეხურზე ან/და დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების სამართალმცოდნეობა ან/და იურუდიული ფაკულტეტის ერთ-ერთი საფეხური.

დამატებითი ინფორმაცია

1. სავალდებულოა კანდიდატმა შესაბამის ველში ატვირთოს:
- უმაღლესი განათლების სამართალმცოდნეობა ან/და იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულის დამადასტურებელი დოკუმენტი ან უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი ცნობა (რომლის მიხედვით დასტურდება, რომ კანდიდატი არის პირველი საფეხურის დამამთავრებელი კურსის სამართალმცოდნეობა ან/და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი) ან აქვს ბაკალავრის ხარისხი.

- დოკუმენტაცია ატვირთული უნდა იქნას სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი დოკუმენტაციის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა). საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კანდიდატი გასაუბრებაზე არ დაიშვება;
- სტაჟირების მსურველი პირის შეფასება ხდება გასაუბრების საფუძველზე;
- სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 3 (სამი) თვეს;
- გავლილი სტაჟირების ვადა ჩაითვლება შრომით სტაჟში;
- პირი სტაჟიორად მიიღება კონკურსის წესით, რაც გულისხმობს სტაჟირების მსურველი პირებისგან საუკეთესოს შერჩევას განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, კომპეტენციების, ცოდნისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე;
-კანდიდატის სტაჟიორად მიღება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასთან დადებული ხელშეკრულებით, რომლითაც განისაზღვრება სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები;
2. პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:
ა) იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;
ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;
გ) მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;
დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
ე) თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ იმავე საჯარო დაწესებულებაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

სტაჟირების საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება